სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თორნიკე ქოჩქიანის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**21**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**7**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

ლევან მურუსიძე

თარიღი: 07.07.2025წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

საქართველოს სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად ჩატარებული კონკურსის მონაწილე კანდიდატის თორნიკე ქოჩქიანის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის N1/23 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 17 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ თორნიკე ქოჩქიანის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით საქართველოს სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

თორნიკე ქოჩქიანს შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს.

შესაფასებელ პერიოდში ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა (1 ფაქტი) კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად.

თორნიკე ქოჩქიანს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთილსინდისიერებაზე, პატიოსნებაზე, თავმდაბლობაზე, საქმისადმი ერთგულებაზე, კორექტულობაზე, პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებაზე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ „ძალიან კარგად".

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული და კორექტული.

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. საჯარო მოსმენისას მიღებული მთავბეჭდილება.

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც სამართლიან, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და შეუვალ პიროვნებას.

კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი.

მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული მთავბეჭდილება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თორნიკე ქოჩქიანის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი დაზარალებულად ან/და სამართლებრივ დაცვაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის კორექტული, თავმდაბალი, კომუნიკაბელური, გაწონასწორებული, გამოირჩევა თავაზიანობით და ადამიანებისადმი პატივისცემით მოპყრობის თვისებებით.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად მართავდა საკუთარ ემოციებს.

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. პროფესიულ წრეში სარგებლობს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით.

თორნიკე ქოჩქიანის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაცია არ იძებნება.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მიმაჩნია, რომ თორნიკე ქოჩქიანი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით საქართველოს სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

კანდიდატს სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები (ნაშრომი/პუბლიკაცია) არ წარმოუდგენია (გარდა სტუდენტობის პერიოდის სამაგისტრო ნაშრომისა, რომელიც ჩემ მიერ არ იქნება მხედველობაში მიღებული მასალის სასწავლო/საგანმანათლებლო ხასიათისა და განვლილი პერიოდის ხანგრძლივობის გამო). იმის გათვალისწინებით, რომ მას სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია და ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, თორნიკე ქოჩქიანის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება, გარდა გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებისა, ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

თორნიკე ქოჩქიანი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 77/19.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

სამოქალაქო სამართალი - თორნიკე ქოჩქიანს, აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი ლოგიკური მსჯელობა. მიუხედავად იმისა რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო, სამოქალაქო დავათა განხილვის პროცესშიც

მსმენელმა წარმოაჩინა სწორი სამართლებრივი არგუმენტების მოძიების, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის უნარ-ჩვევები.

ადმინისტრაციული სამართალი - თორნიკე ქოჩქიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას გააჩნია სამართლებრივი ანალიზის უნარი, საფუძვლიანი სამართლებრივი მსჯელობა.
შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს აკადემიური წერა.

სისხლის სამართალი - თორნიკე ქოჩქიანი მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად მისადაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატმა სისხლის სამართლის მიმართულებით გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ სასამართლო პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. უნდა ითქვას, რომ კითხვები ძირითადად სისხლის სამართლის სფეროდან დაისვა. აღნიშნულ სფეროს მიკუთვნებული თითქმის ყველა საკითხი განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სხვადასხვა ზოგად და კონკრეტულ სამართლებრივ საკითხზე. კანდიდატმა იმსჯელა დასმულ კითხვებზე: სასჯელის მიზანი, რესოციალიზაცია უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს (შეწყალების უფლების გარეშე), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, კიბერდანაშაული და სხვა.

ჩემის აზრით, მისი ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში თვალსაჩინოა, რაც დასტურდება გასაუბრების პროცესში მის მიერ გაცემული პასუხებით.

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები არ წარმოუდგენია და მოცემული მახასიათებლით მისი შეფასებისას ვითვალისწინებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ზემოხსენებულ შეფასებას.

კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატმა ძირითადად არგუმენტირებულად და დამაჯერებლად იმსჯელა მის მიმართ დასმულ ზოგადი და კონკრეტული ხასიათის სამართლებრივ შეკითხვებზე. ცალკეულ საკითხებზე გამოთქვა საკუთარი მოსაზრებებიც.

კანდიდატს აქვს 10 წლიანი პროფესიული გამოცდილება, სრულად სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

საჯარო მოსმენისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა რაციონალური და თანმიმდევრულია. აქვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო მიუთითებს, რომ სასურველია მან იმუშაოს წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღებობის უნარი.

დ) პროფესიული თვისებები

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს ახასიათებს ორგანიზებული და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის მაღალი უნარი. აღნიშნავენ, რომ ეფექტიანად ახდენს პრიორიტეტების განსაზღვრას და დროის განაწილებას, საქმიანობისას მოქმედებს თანმიმდევრულად და სწრაფად, პასუხისმგებლობის სათანადო შეგნებით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი საქმიანობის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

თორნიკე ქოჩქიანი ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

ზ) პროფესიული აქტივობა

მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თორნიკე ქოჩქიანი პერიოდულად მონაწილეობს პროფესიულ სემინარებსა და შეხვედრებში. მიმაჩნია, რომ მზადაა მიიღოს ახალი, მისთვის აუცილებელი ცოდნა და საჭირო ინფორმაცია.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის ყველა მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად თორნიკე ქოჩქიანი ჯამში შეავფასე 86 ქულით.

ლევან მურუსიძე

თარიღი: 07.07.2025წ.